ცნობის ფურცელი

№ 2299 სამშაბათი, 21 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2299

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

№ 10, აბონემენტი № 3 ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 23 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომედია 5 მოქმ. შექსპირისა, თარგ. კ. მესხის-მიერ.

II

ცელქები

ხუმ.-ვოდ. 1 მოქმ. ზ. ჭიჭინაძისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა, ნ. ყიფიანისა, მ. მდივანი, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ავლაბრის ახალი თეატრი

სამშაბათს, 21 ოქტომბერს, 1903 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ხანუმა

კომედია 4 მოქმ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძისა, ნ. დავითაშვილი, ნ ყიფიანისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ლ. მირიანაშვილი, საფაროვი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათ. რეჟისორი **აწყურელი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 21 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ჟიზნ ზა ცარია

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა გლინკასი.

წარმოდგენამდე არტისტები, ხორო და ორკესტრი შეასრულებს საერო ჰიმნს „ბოჟე ცარია ხრანი“-ს.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ალმაევა, კალინინა; ბ-ნნი: დარსკი, კლიუზნერი, სანგურსკი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 22 ოქტ. „პიკოვაია დამა“, ჩაიკოვსკისა, 23 ოქტ. —„სევილსკი ცირ“. და ბალეტი „ქორწილი ოიცოვში“. (5.)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (10—6.—4)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ვრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, ჰიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

„ცნ. ფურ.“-ს რედაქციისაგან

ვისაც უკანასკნელი ხვედრი ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქაროს შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ნოემბრიდან ჟურნალი და გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საზღვარ-გარედ

იაპონია. „რეიტერის სააგენტოსა“ და ინგლისურ გაზ. „დეილი მეილ“-ს 13 ოქტომბერს ამნაირი ცნობა მოჰსვლიათ ტოკიოდან: იაპონიის მინისტრებმა და გამოჩენილმა სახელმწიფო კაცებმა მთელ 7 საათი ითათბირეს და დაადგინეს, ბეჯითად მოვითხოვოთ, რომ რუსეთმა პირობისამებრ მანჯურიიდან ჯარი გაიყვანოსო. მარკიზ იტომ ურჩია კრებას, მანჯურიიდან ჯარის გაყვანას ნუ მოვითხოვთ, ისიც საკმაო იქნება, რომ რუსეთს ყველა უცხო სახელმწიფოსათვის მანჯურიაში ვაჭრობის უფლება მოვთხოვოთ და კორეიაზე ხელი ავაღებინოთო.

ჯერ რუსეთს მანჯურიიდან ერთი ჯარისკაციც არ გაუყვანია. ამ საქმის თაობაზე რუსეთის ელჩმა ჩინეთის მთავრობას ახალი პირობა წარუდგინა—ჩვენ მოხსენებული გვქონდა ეს პირობაო, მაგრამ ჩინეთი ჯერ არ დასთანხმებია ამ პირობას. იაპონური გაზეთები იუწყებიან, თუ ჩინეთი ამ პირობას დასთანხმდება და ხელს მოაწერს, რუსეთი სამ ვადაზე გაიყვანს ჯარს მანჯურიიდან: ნიუ-ჩჟუანსა, ანდუნსა და კიდევ ორ სხვა ქალაქს დაუყოვნებლივ დასცლის, გირინსა და კიდევ სხვა ქალაქს—ოთხის თვის შემდეგ, ციციკარსა, ხაილარსა და აჟეხს—ერთის წლის შემდეგ. ციციკარიდან ბლაგოვეშჩენსკამდე მიმავალ გზაზე ისევ რუსის ჯარები იდგებიან. იაპონურ გაზ. „ჯი-ჯი“-ს ჰკუაში არ მოსდის ესეთი ჯარის გაყვანა.

იაპონიის პოლიტიკური წრეები მოუთმენლად ელიან, აბა რას იზამს რუსეთი, როგორ მოიქცევაო. გაბედულ პოლიტიკის პარტია, პრინც კანოესა და გრაფ ოკუმას მეთაურობით, კრებებსა ჰმართავს ყველგან და ხალხს ურჩევს: თუ რუსეთი მანჯურიიდან ჯარს არ გაიყვანს, უსათუოდ ომი გამოვუც-

ფელეტონი

გზა-და-გზად

I

(ქართლისაკენ)

სიცხემ და ტფილისის შეხუთულმა ჰაერმა მთელი უკანასკნელი კვირა სული აღარ ამომათქმევინა! სიცოცხლის ნიშან-წყალ გამქრალს აღარაფრის კეთება, აღარაფერზე ფიქრი აღარ შემეძლო. თან სახლის პატრონიც ერთი იუდის კერძი და წუწურაქი რამა მყავს: „დვორნიკს“ ეზოს მორწყვას უკრძალავდა თურმე: „ჰა, კარაპეტ, წყალმა ყაირათ ქენი, ბევრი არ დახარჯოო!“...რას ვიზამდი? ავდექი მეცა და შემოიტანა თუ არა პროექტი ჩემმა მეუღლემ—სოფლად წავიდეთო—ბევრი აღარ მიხვეწიებია, ჩემის პატარა ოჯახით დაბარგულ-დატვირთული მეორე დღესვე დილით გზას გავუდექი.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, სამგზავრო ტანჯვა-წვალებას ქალაქის ქუჩებშივე შეგვიყენა მეეტლემ: უზომოდ დაჯახრაკებული ცხენები ფეხებს ძლივს საცოდავობით მიათრევდნენ, ადამის დროის გვერდებ-მიღრეცილი ეტლი კიდევ ჯოჯოხეთურის ღრიტინით სმენას გვიტკბობდა. —„ესაც პირველი სიამოვნება მგზავრობისა-მეთქი“,—ჩავილაპარაკე უგემურის ღიმილითა და მეუღლეს გადავხედე, ის რაღას იტყვის-მეთქი, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მასაც და დედაჩემსაც, ორთავეს საცოდავი ტანჯული გამომეტყველება აღბეჭდვოდათ სახეზე და იღრიჯებოდნენ. ჩუმადვე იცინოდა მხოლოდ ჩვენი კამერ-ლაქია, მეეტლეს გვერდით ყვავების საფრთხობელასავით კოფოზედ აწოწილი.

ვოკზალზედაც მივედით. მაგრამ რა? ჩემმა მოსაზრებამ—ექვსი საათის მატარებელით თუ წავალთ, ხალხი ნაკლები იქნება-მეთქი, არ გასჭრა და მთელი სადგური რკინის გზისა ხურჯინ-კალათებითა და ქალების შლიაპის ყუთებით სავსე დამხვდა. დასაჯდომი ადგილიც-კი აღარსად იყო. როგორც იყო, ქალები ზოგი სკამზე დავსხი, ზოგი ბარგზე და ბილეთების სასყიდლად წაველი. იქ უარესობა იყო. ქალი და კაცი, შლაპოსანი და ჩოხოსანი დომხალივით კასსის წინ არეულიყვნენ და ზედა ხორაობდნენ. ტალღამ მალე მეც იმათში ამომაყოფინა თავი. არ გასულა სულ ორი წამი და რაც ჩემ წინ ხალხი იდგა, ორი იმდენი ჩემს უკან გაჩნდა, ყველა თითქმის სამ-ოთხ ბილეთსა ყიდულობდა.

— ნეტა, სად უნდა დასტიონ ეს ამოდენა ხალხი, რომ ბილეთებს ყველას აძლევენ,—იძახოდა გაწიწმატებით ჩვენზე გაცილებით შორს მდგომი ვიღაც ლეჩაქოსანი და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხერხს არ იშურებდა, რომ წინ გადასულიყო და სხვები უკან მოექცია.

— თუ ჰხედავთ კიდეც, რომ ვეღარ დაეტევით, მაშ რაღად სწუხდებით,—გამოელაპარაკა გვერდით მდგომი ქართველი ვაჭარი, რომლისათვისაც, ეტყობოდა, გვერდები საკმაოდ აეხურებინა მუჯლუგუნებით, მაგრამ, თქვენმა მზემ, ქალი არ შეკრთა.

— ვწუხდები, თუ არა, ეგ თქვენი საქმე არ გახლავთ,—მიაძახა რისხვითა და კიდევ გაჰკრა გვერდი წინ მდგომს ვიღაც რუსულად ჩაცმულს ახალგაზრდასა. ახალგაზრდამ გზა დაუთმო, გადმოატარა, მაგრამ მკვიდრი ბურჯივით ჩარგვალებულმა სომეხმა ვაჭარმა-კი ვეღარ მიართვა და შეაყენა: „ახარ, ჩვენც გვინდა თუ არა დგომა, რომ მოაჰენებ, რას მოაჰენებ, ცეცხლი ხომ არ გიკიდია?“

ნახა, რომ ამ სიმაგრესთან-კი ვეღარა გაუვიდოდა-რა და გზაც მთლად გაელობა და ლეჩაქოსანიც შედგა.

⁂

როგორც იყო ვაი-ვაგლახით ბილეთები ავიღე.

ხუთის წამის შემდეგ ჩემი კამერ-ლაქია და რკინის გზის ბარგის მზიდველი ძლივს საცოდავობით მიარღვევდნენ მღელვარე ცოცხალს ზღვას რკინის გზის მგზავრებისასა და ვაგონისაკენ ხელის ბარგს მიაჩოჩებდნენ. ჩვენც გვერდების ხეხვით უკან მივსდევდით და გულში ნატვრით გავყურებდით ყაზარმის შავ ფანჯრებივით მოპირქუშებულს ვაგონის ჯუჯრუტანებს,—ფეხზე სადგომი ადგილი და ბარგის დასადები მაინც ვიშოვოთო. ჩვენი რკინის გზის ჩვეულება რომ ვიცით, მეტს, აბა, მაინც ვინ მოითხოვდა.

მივედით ერთ ვაგონთან, უკვე გავსებულიყო, მეორესთან, აქაც შეგვაყენა კონდუქტორმა; მესამეს აღარ მოვცილდით და, როგორც იყო, ავედით. თუ სადმე გინახავს, მკითხველო, ქათამს რომ კეთების დროს წელებს გამოაძრობენ ხოლმე, ისე ძვრებოდა ხალხი მთლად გაჭედილ ვაგონის ვიწრო გასავალში და სელიოტკებივით ერთი მეორეზედ ეწყობოდნენ. თავაზიანობას, უმცროს-უფროსობას აღარავინ დაგიდევდათ. ისმოდა ყოველ მხრივ „ვიში“ და „ვუი“ და კმაყოფილება—რომ ვაგონში შემოჭედვა მოახერხეს.

ფუთკრის სკასავით დაუსრულებელს ერიამულსა და ხმაურობას ათასში ერთხელ მხოლოდ ახლად შემოსულების ყვირილი და დამხვედრთა რისხვა-ღა არღვევდა; ყველა თავისთვის რაღასაც იჩმუჩნებოდა, ბარგს ალაგებდა, რომ უკეთ როგორმე მოწყობილიყო, მაგრამ ამ „უკეთობას“ როგორღაც ვერ ახერხებდა და ისევ ისე მოუსვენრობდა.

ხუთის წამის შემდეგ ღელვა თითქოს შედგა და სიჩუმე ჩამოვარდა. ახლა მხოლოდ შრიალი-ღა ისმოდა: ისწორებდნენ — ვინ საყელოს, ვინ შლაპას, ვინ პალტოს, ვინ ქუდსა და ვინ გულს.

— არა, თუ სამი კაცის დასაჯდომი ადგილია, მაშ ეს რაღა ღვთის რისხვაა, რომ კონდუქტორი ძალას გვატანს, მეოთხე და მეხუთეც დასვითო,—გაიძახდა ვინმე სქელ-მუცელა და თან მხრებს ათამაშებდა, რომ მეზობლები ცოტა განზე გაეწია და მეტი ადგილი დაეჭირა. ახერხებდა კიდეც: გრძელ საჯდომზე, რომელზედაც ხუთნი მიმსხდარიყვნენ ერთი-მეორეზე, მესამედზე მეტი ადგილი ამ ერთს ეჭირა.

— მაგას ვინ ჩივა, ნეტა ღვთის წყალობით მუხლზე აღარ მასხდებოდნენ,—ჩიოდა შუახნის იმერელი, რომელსაც ვიღაც რუსი დედაკაცი ამოსტკუცოდა გვერდით და ბოლჩა ზედ იმერლის მუხლზე გადაჯდა.

ჩვენც უკეთესს დღეში არ ვიყავით, მაგრამ გამგონი არავინ იყო.

ხუთის წამის შემდეგ ვაგონის კარებთან უცბად რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა და ფეხზე მდგომთა წყება შეირყა, აღელდა. ტალღამ თითქმის ჩვენამდე მოაღწია. არეულობა მალე კონდუქტორის ხმამ გამოარკვია: „**Билеты, господа!**“ იძახდა ზორბა ცხვირ-წაწითლებული კონდუქტორი და ხალხს მოარღვევდა; უკანიდან ამას მეორე მოსდევდა და მგზავრებს ბილეთებს უჭრიდა. მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან ყველა უადგილობასა სჩიოდა, მაგრამ მატარებლის გამგე კონდუქტორი ყურადღებას არავის აქცევდა და ისევ ბილეთების საჭრელს ატკაცუნებდა, თან რიხიანად თხოულობდა, რომ გზიდან ჩამოსცლოდნენ...

ჩვენთანაც მოვიდნენ. გადავაწოდე ბილეთები და შევეკითხე: რა არის, რომ სელიოტკებივით ერთმანეთს ვაწყვევართ; ისე მაინც მოახერხეთ, თქვე დალოცვილებო, რომ მოჭარბებულს ხალხს სადგომი ადგილი მაინც ხალვათად ჰქონდეს-მეთქი. მაგრამ ობერმა მხოლოდ გაიცინა და მანუგეშა, რომ უარესს თუ არ შევეყარეთ, ამას ნუ სჩივით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლოთ. ამნაირ კრებებს დიდ-ძალი ხალხი ესწრება თურმე. ზომიერი პარტია კი, მარკიზ იტოს მეთაურობით, დღესაც ომის წინააღმდეგია და მორიგების პოლიტიკას ადგა. ესენი ჰფიქრობენ, სჯობია რუსეთს მოვურიგდეთო.

ყველაზე ბეჯითად რუსეთთან ომს 7 იაპონელი პროფესორი თხოულობს. მკითხველს ეხსომება, ამ პროფესორებმა, ჯერ კიდევ გაზაფხულში, იაპონიის მთავრობას მოსთხოვეს, რუსეთს უსათოდ ომი გამოუცხადეთო. ომის მომხრე პროფესორები თავიანთ მეგობარ ინგლისელ პროფესორებსაც შეჰკითხებიან წერილით, რა აზრისა ხართ, კარგი არ იქმნება, იაპონიამ რუსეთს ომი გამოუცხადოსო. ორ ინგლისელ გამოჩენილ იურისტ-პროფესორს, უესტლეკსა და ჰოლენდს იაპონელების პასუხად ინგლისურ გაზ. „დეილი მეილ“-ში წერილი დაუბეჭდია. მანჯურიის თაობაზე პროფესორები შემდეგს სწერენ:

თუ ომი მოხდა, შესაძლებელია, იაპონიამ, ინგლისმა და ამერიკამ დიდის მეცადინეობის შემდეგ მანჯურიის ზღვის ნაპირები დაიჭირონ და თუ მოინდომებენ, დაისაკუთრონ კიდეც. მაგრამ რუსეთის ჯარის განდევნა მანჯურიიდან მეტად გაუჭირდებათ, რადგან მანჯურია და ციმბირი მეტად შორსაა სამივე სახელმწიფოს სამფლობელოდან. ინგლისმა, ამერიკამა და იაპონიამ, გინდაც მოახერხონ და რუსის ჯარი ციმბირში გადარეკონ, სამუდამოდ ხათაბალათა და თავში საცემად უნდა გაიხადონ მანჯურიის საქმე. რუსეთის საზღვარზე მუდამ დიდი ჯარი უნდა იყოლიონ... გამარჯვების შემდეგ, რაც უნდა კარგი პირობა დასდონ, იმედი არაა, რუსეთმა ეს პირობა შეასრულოს... მერე იაპონიამ, ინგლისმა და ამერიკამ რისთვის უნდა გასწიონ ამდენი ხარჯი და რისთვის ეწვალონ. მანჯურია ჰღირს განა ამდენ ხარჯათა და წვალებად? მაშ რა უნდა ეშველოს ამ საქმეს? ნუ თუ არა ეშველება-რა?.. ამერიკასა, ინგლისსა და იაპონიას ადვილად შეუძლიანთ, რუსეთს საზღვარი დაუდონ, შეზღუდონ. სამივ სახელმწიფომ და გინდა ინგლისმა და იაპონიამ ორთ, უნდა პირობა ჩამოართონ რუსეთს, რომ დასავლეთით ჩინეთის დიდ კედელს არ გადასცილდეს და აღმოსავლეთით—კორეის საზღვარს. ეს საზღვარი უსათუოდ უნდა დაედოს რუსეთს. ინგლისი დიდად სასახელო საქმესა იქმს და დიდ სახელმწიფო უნარს გამოიჩენს, თუ რუსეთს პირდაპირ, მოურიდებლივ ეტყვის: „ამ საზღვრამდე შენია, ამას იქით კი ხელი აღარა გაქვსო.“

„დეილი მეილ“-ი შენიშნავს: პროფესორების აზრის წინააღმდეგ ბევრი რამ ითქმისო.

◆ „დეილი მეილ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტიან-ძინიდან: იაპონიამ გამოუცხადა ჩინეთს, თუ რუსეთი მანჯურიიდან ჯარს არ გაიყვანს, მეც ჩინეთის რომელსამე ნაწილს დავიჭეროო.

ჩინეთი დღესაც ომის თადარიგშია. ჩინეთის მთავრობა თავის ჯარს ახალ იარაღს ურიგებს და საზღვარ-გარედ დღესაც დიდძალ იარაღს ჰყიდულობს.

◆ ამას წინად გაზეთები იუწყებოდნენ, ამერიკის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, ჩვენთვის სულ ერთია, რუსეთი ეხლავე გაიყვანს ჯარს, თუ რამდენისამე წლის შემდეგაო. ეხლა კი გაზეთები სულ სხვას იუწყებიან: ამერიკის ელჩმა კონჟერმა პრინც ჩინგს გამოუცხადა, რუსეთის ახალი პირობა ჯარის გაყვანის თაობაზე ჩინეთისა და სხვა სახელმწიფოების უფლებას არღვევსო.

◆ დავა იონამპოს თაობაზე დღესაც არ გათავებულა თურმე. ინგლისური გაზ. „ტაიმს“-ი იუწყება: ბრიტანიისა და იაპონიის ელჩები ბეჯითად თხოულობენ, იონამპოს ნავთ-სადგურში ყველა უცხოელს მიეცეს ვაჭრობის უფლება და არა მარტო რუსებსაო. კორეის გარეშე საქმეთა მინისტრიც დასთანხმდა ელჩების მოთხოვნილებას, მაგრამ კორეის იმპერატორთან ვერას გამხდარა.—ეს ამბავი დეპეშებშიაც ეწერა—იმპერატორი სასახლეში ზის თურმე კარჩაკეტილი, არავის არ იკარებს ახლო და სახელმწიფო საქმისათვის არაფერს არა ზრუნავს. თებერვალს აქეთ 7 გარეშე საქმეთა მინისტრი გამოსცვალა. ეხლანდელი მინისტრი განათლებული კაცია, იაპონური და ფრანგული ენები იცის, მაგრამ იმპერატორი არას უჯერებს; უბრალო მკითხავების დარიგება უფრო ჭკუაში უჯდება, ვიდრე მინისტრის რჩევა. იმპერატორს სიკვდილივით ეშინიან ომისა. მართალია ყველანი არწმუნებენ, რუსეთსა და იაპონიას ომი მოუვათო, მაგრამ იმპერატორს არავისი არა სჯერა. იაპონიის მრისხანე ესკადრის მოსვლამ ხომ უარესად გადარია და სულ შიშის ზარი დასცა კორეის იმპერატორს.

◆ ინგლისურ გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ის პეტერბურგელ კორესპონდენტისათვის ერთ რუსის დიპლომატს უთქვამს, შორეულ-აღმოსავლეთში ომი არ მოხდებაო.

— მაშ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ომის შიში სრულებით აღარაა,—უკითხავს კორესპონდენტს.

— ნამდვილად ვიცი და ბეჯითადაც შემიძლიან ამის თქმა, რომ რუსეთს გუნებაშიაც არ უდევს ომი და არც არასა იქმს ისეთს, რომ იაპონიას ომი დააწყებინოს. ვფიქრობ, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა. მკითხველს დეპეშებიდან ეცოდინება, რომ იაპონიის პარიზელ ელჩსაც ესევე ეთქვა „ტან“-ის თანამშრომლისათვის: გაზეთები სულ ტყუილ ხმებს ავრცელებენ, შორეულ-აღმოსავლეთში ომი არ მოხდება, რუსეთი და იაპონია მორიგებით გადასწყვეტენ თავიანთ სადავო საქმესაო.

დიპლომატები ირწმუნებიან, ომი არ მოხდებაო, გაზეთები კიდევ თავიანთსას არ იშლიან და ისეთ ცნობებს ჰბეჭდავენ, რომ კაცსა ჰგონია, სადაა, ზარბაზანი დაიქუხებსო. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტს იოკაჰამიდან ასეთი დეპეშა გამოუგზავნია:

„იაპონიის მთავრობა რკინის გზების მმართველობას ჯარის გადაყვანის თაობაზე ურიგდება. ყველა რკინის გზები ჯარების გადასაყვანად დაემზადნენ“.

„ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ი იუწყება: ინგლისის მეგემეთა კომპანიებს 10 ოქტომბერს იოკაჰამიდან ესეთი მოკლე, მაგრამ მეტად ასაღელვებელი, ამბავი მოუვიდათ: „ომი აუცილებლად მოხდება“. მეგემეებმა იმ წუთშივე საქონლის გადასაზიდი ქირა ასწიეს. თითო ცენტნერზე წინად 3 შილინგსა და 4 პენსს ართმევდნენ, ეხლა-კი 10 შილინგს თხოულობენ.

◆ იაპონიაში ომი ყველაზე ძლიერ ფლოტის უმაღლეს წრეებს სწადიანთ თურმე. ომის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, თუ ომი გაჭიანურდა, იაპონიის ჯარი მანჯურიაში სულ მთლად ამოსწყდებაო. მეზღვაურები კი ირწმუნებიან, ეს მეტად შემცდარი აზრიაო. ესენი ამბობენ: რაკი იაპონიის ესკადრა დიდ ოკეანეში რუსეთის ესკადრას დაამარცხებს,—პორტ-არტურსა, დალნისა და ვლადივოსტოკსაც ადვილად ავიღებთ და მერე რუსეთის მთელი სამფლობელოც შორეულ-აღმოსავლეთში ჩვენ ხელთ იქნებაო.

იაპონიის ფინანსთა მინისტრად ნამყოფი გრაფი ვატანაბეც ომის პარტიას მიემხრო. ვატანაბე ამბობს: ეხლა ჯიბეების ჩხრეკის და ფიქრის დრო აღარაა; რუსეთს ეხლავე ომი უნდა გამოვუცხადოთო.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 20 ოქტომბერს, ღვთივ განსვენებულის **იმპერატორის ალექსანდრე მესამის** გარდაცვალების დღეს, სიონის ტაძარში, გორის ეპისკოპოსის ბენიამინის მიერ გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ: მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე, ტფილისის გენერალიტეტი, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უფროსნი, თავად-აზნაურობისა, ქალაქისა და მოქალაქეთა წარმომადგენელნი და დიდ-ძალი საზოგადოება.

◆ მისის ბრწყინვალების კავკასიის **მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავადის გ. ს. გოლიცინის** ჯანმრთელობის **ბიულეტენი**: საღამოს 8 საათი. 20 ოქტომბერი: საერთოდ კარგად არის. ჭრილობა ჩვეულებრივის გზით ურჩება. დღეიდან ყოველ დღიური ბიულეტენი აღარ დაიბეჭდება.

ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო, გადომსკი.

◆ გერმანიიდან გვწერენ; მიუნხენის პოლიტეხნიკუმში დღეიდან შემდეგი პირობებია: იღებენ: **გიმნაზიასა** და **სემინარიაში კურს დამთავრებულთ** მარტო ატესტატით. რეალურ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ სრულებით არ იღებენ. მიუნხენის უნივერსიტეტში მარტო გიმნაზიელებს იღებენ. დარმშტადტში (პოლიტეხნიკუმია) იღებენ გიმნაზიელებს და რეალურ სასწავლებელში კურს

მართლაც-და მენიშნა; მახსოვს, ერთხელ უადგილობის გამო ვაგონში ასავალ კარების ხელმოსაჭიდ რკინაზე ვეკიდე და ქარმა პალტო და ქუდი მომტაცა, რადგან ხელის გაშვება არ შემეძლო, ვინ იცის საით მომისვრიდა მატარებელი. მეც განგებას დავუმადლე, რომ ამ ჟამად მაინც ქუდი და პალტო ზედ მქონდა და ფანჯრისაკენ მივიღე თავი, რომ გული გზის სანახაობისათვის გადამეყოლებინა, ხორციელი სავიწროვე სულიერის თავისუფლებით, ფიქრით მაინც მენუგეშებინა...

⁂

უმისოდ ამ დროს თვალის მომჭრელი გახრიოკებულ-მოტრუსული მინდვრები და გორაკები საამურად მწვანობდნენ, რადგან ზაფხულს პირი გრილი და ნამიანი ჰქონდა. შიგა-დაშიგ მხოლოდ თეთრი და შეწითლებული ზოლები-ღა არღვევდა ერთგვარობას სანახაობისასა და შორს მოსჩანდნენ ჩაშავებული ტყიანი მთები. შემოსული პური აქა-იქ უკვე ძნებად იდგა, ზოგან-კი მკას ახლა შესდგომოდნენ, მაგრამ მეტად თხელი და წვრილი თავ-თავი უჩანდა. ადგილ-ადგილ ხომ მთლად გაქაჩლებულიყვნენ და გაგუდაფშუტებულს მწერლებს მაგონებდნენ.

ნაცნობი უკმაყოფილება როგორღაც უნებურად მენიშნა და გული მომიკვდა, რომ ხალხს გონებრივი სილატაკე მალე ხორციელად, შიმშილად გადაექცეოდა უთუოდ. შრომა-კი ისევ ჩვეულებრივი, ზოგან მოჭარბებულიც უნდოდა, რადგან ვხედავდი, მომკალი ხშირად თავ-თავს აქა-იქ ეძებდა, მოსმულს ნამგალს მხოლოდ კეჭეჭი და ღვარძლა ჰხვდებოდა, და რაღაც მანქანების ძალით, დალახვრა ეშმაკი, ისევ და ისევ გუდაფშუტა მწერლები და მათი ფიქრები მაგონდებოდნენ, ისევ მათს მკითხველს ვადარებდი ამ ჟამად ოფლში გაქანებულს შრომის შვილს, გულ-გადაღლილი რომ მედგრად ჩაჰბღუოდა დედამიწასა და სამაგიეროდ-კი ჩალისა და ღვარძლის მეტი არა ამოჰქონდა-რა...

თიბათვე უკვე მიწურული იყო, მაგრამ ნათიბი ბალახი ზოგან ისევ გაშლილი, დაუბულულებელი დარჩენილიყო, ხშირს წვიმებს გაშრობა აღარ ეცდია, მთლად ჩაელპო. მაშასადამე, გლეხთან ერთად საქონელსაც უღელი დაუმძიმდებოდა, ორივენი დაიჩაგრებოდნენ. სანუგეშოდ მხოლოდ სიმინდები-ღა გამოიყურებოდნენ.

ამ თვალიერებასა და დაულაგებელს მგზავრობის ფიქრში ორი-სამი სადგური ისე გავირბინეთ, რომ ვერა გავიგე-რა. სუფთა ჰაერი, ბუნების სანახაობანი და სწრაფი, ერთი სადგურიდან თავისუფლად მეორეზე ელვის სისწრაფით მსრბოლი ოცნება საითღაც შორს მიმაქროლებდა და მეც, დაკვირვებით სულ ერთ საგანზე ფიქრით თავ-მობეზრებული, კმაყოფილი ვიყავი, რომ ვისვენებდი; დღეს, ხვალ, ზეგ და ასრე მთელი ორი თვე ყოველის ზრუნვისაგან თავისუფალი ვიქნებოდი, ყველა სხვა თავ-სატეხ საგნებს მცირე ხნობით ხორციელს არსებობას დავუმორჩილებდი და ჯანს მოვიმაგრებდი, მოვღონიერდებოდი... რასაკვირველია, იმიტომ, რომ ენკენისთვიდან ისევე მძიმე უღელს შევბმოდი და ისევე ისე მეთვალა დღე და ღამე შრომის საათები!.. ნერვები და სისხლი მომღლოდა, მიმსუსტებოდა...

ერთი სიტყვით, რაღაცა ტკბილს ბურანში ვიყავი.

⁂

ორი საათის შემდეგ მატარებელი ქ. გორის სადგურზე მისრიალდა. ხალხი უცბად ახმაურდა, დაიძრა. მღელვარე ტალღამ მეც გამომაფხიზლა. შევხედე, ჩვენებიც გაფაციცებით ბარგს კითხულობდნენ, ბიჭს ეძახდნენ, კალათი, ბოლჩა სად არის, მოაგროვეო. გორის უსაქმური საზოგადოება სადგურზე თამაშად გამოსულიყო და თვალებ დაჭყეტილები შემოჰყურებდნენ ვაგონებს, აცა ვინ გადმოვა, რა ეცმება, რას იტყვის, როგორ გაივლისო. აქეთ მივიხედე, იქით, ბარგის მზიდველი არსადა სჩანდა. ძლივს ვიღაცა პატარა ბიჭი გამოჩნდა და სამსახური გამიცხადა. ვანიშნე ბარგი და ვუთხარი, სოფლისაკენ მივდივარ, ფაიტონთან მიიტანე-მეთქი. ჩვენც ნელ-ნელა ჩამოვბარგდით და ცნობის მოყვარე გორელების ალყა გავარღვიეთ, ბუფეტის გზით, სადგურის უკან გავედით ეტლის დასაჭერად.

⁂

ნახევარ საათის შემდეგ ოთხ-ცხენიანი რეზინებიანი ეტლი სწრაფად მიარღვევა გორის ქუჩებში მუხლამდე ნაღებს მტვერსა და მთელს არეს ბუქში ახვევდა. მალე ეტლი სოფლის გზას გაუდგა მეჯუდისაკენ და ჩვენც ცოტა სუფთადა და თავისუფლად ამოვისუნთქეთ. გადამწვანებული მინდვრები, ყანები, სიმინდები და შორს ლურჯად გაცრილი ტყიანი, თავ-ტიტველა მთები გულს როგორღაც გვიხალისებდნენ და ტფილისის ერთფეროვნებას მიჩვეულს თვალს ტკბილად ულიტინებდნენ, რაღაც გაუგებარის სიხარულითა ჰნამავდნენ. გზის პირად კიდევ აქეთ-იქით არხებში მეჯუდა მოჩუხჩუხებდა და მთის ამბავს კასკასით, ხან ნაღვლიანი ბურტყუნით ბარს მოუთხრობდა; თან აქა-იქ მინდვრისაკენ უხვევდა და მზრუნველ გადიასავით მადლიანს ნამს ნათესებს აწვეთებდა, გულს უგრილებდა. ჰაერში ყოველ მხრივ რაღაცა სილაღე და სიახლე იყო გაშლილი, ფრინველთა თავისუფალს სივრცეში სრიალს მთისა ნიავი, ნელი და გრილი, უფრო წარმტაცს, უფრო მომხიბვლელს ჰხდიდა და ხანდაზმით თითქოს მეც, მომაკვდავს მიწის უძრავს შვილს, იქით, ლურჯი სივრცისაკენ, მიტაცებდა. ოცნებით მაინც!.. რადგან სულ ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში ამ ქვეყნიური ზრუნვა და ფიქრი ქალაქიდან გარეთ, ბუნების კალთაზე, გასვლამ მთლად დამავიწყა, გამომცვალა, გამახალისა.

ნათლადა ვგრძნობდი ახლა, მაგალითად, რომ ქვეყანაზე ყოველივე ღრმად გონივრულად არის მოწყობილი; რომ სიმწარე და ნაღველი ყველგან აუცილებელი არ არის; რომ ბუნება თავის-თავად დაუსრულებელი სიამოვნებაა, მუდამ ახალი, სიცოცხლის ძალის და იმედის მაცხოვლებელი; რომ ქვეყნიურს სიავეს კარგი მკურნალივით ბუნება ნახევრად გვისუმბუქებს; რომ ბრძოლაც მინდვრად, ბუნების ახლოს, ადვილი არის. ერთი სიტყვით, თითქმის რომ ოპტიმისტი შევიქმენი უცბად. ფილტვები ხარბად იწოვდნენ ჰაერს, სისხლიც მოსჩქეფდა ცოცხლად და არას დაგიდევდით თითქოს, თუ იქ სადმე, ამ სანახაობის ბოლოში რომ სოფლის პირად ქოხი მოსჩანდა ობლათა, იმ ქოხში, ვინ იცის, რამდენი ცრემლი და ჩუმი ნაღველი იყო ჩახშული, ჩამარხული. ესა და ამგვარი უტყვი სხვა სანახაობა როგორღაც თითქოს დაჩრდილულიყო; სიამოვნებას მოკლებული, დაღლილი თვალი და გული ამ ჟამად მხოლოდ იმას ეძებდა, რაც ამებდა, დაასვენებდა.

⁂

მაგრამ სოფელსაც თავისი საზრუნველი და საფიქრებელი აქვს,—თუმცა ჯანყსა და ბურუსში ყველაფერს კარგად ვერა ჰხედავს და დაობებული, აშმორებული ჰაერი წოდებრივ წარმოდგენათა სინათლეს ხშირად წინ ეღობება, აქაც კუჭი ბატონობს ყველაზე. ამიტომაც, მეორე-მესამე დღესვე, როგორც-კი ცოტათი დავისვენე და თვალი სოფლის საამურ სანახაობით დასტკბა, გონებამ საზრდო მოითხოვა და მეც გაზეთებსა და ჟურნალებს მივმართე. წავიკითხე ყველაფერი, რასაც უწინარეს ტფილისში გადავავლებდი ხოლმე თვალსა: დეპეშები, უცხოეთი, რუსეთი, ახალი ამბავიც-კი, რაკი ცნობის-მოყვარეობამ წამძლია და ბოლოს კორესპონდენციებზე შევდექი.

ყველა მხრიდან თითქმის ერთნაირს ამბებს იწერებოდნენ: უჩიოდნენ დაჟინებულს წვიმებს, გაზაფხულის ყინვას, ადგილ-ადგილ სეტყვასაც; სჩიოდნენ, რომ ბალახი მინდვრად ულპებოდათ, ქერსა და პურს გამოსავალი მცირედი ჰქონდა, რომ ვენახებსა და ხეხილებს რაღაც მავნე მწერი აფუჭებდა, რომ გლეხი ხარჯებით უზომოდ დატვირთულია, რომ აქა-იქ სოფელში წესიერებისა და კანონიერების დამცველნიც-კი (მამასახლის-მოსამართლენი) აღარ ერიდებიან და ავკაცობენ, ქურდებს, ყაჩაღებს ჰმფარველობენ, რომ სკოლა გახსნეს, მაგრამ მალე ისევ დაიხურება, რადგან გლეხები ფულის გაღებას უარობენ და შვილებს სასწავლებლად არა ჰგზავნიან; რომ ადგილობრივ წარჩინებულთა და ინტელიგენტთა თაოსნობით საგუბერნიო ადმინისტრაციამ ხალხის ჯანმრთელობას ყურადღება მიაქცია და ხალხმაც აღუთქვა, ექიმისა და თავ-შესაფრის ფულს გავიღებ-

დამთავრებულთ მარტო ატტესტატებით. კარლსრუეში იღებენ გიმნაზიელებს და რეალურს სასწავლებელში კურს დამთავრებულთ, მხოლოდ საკონკურსო მოწმობით.

დაწვრილებით ცნობებისთვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: München Russischer Lese-ferein Для справочнаго бюро Görrents.

◆ 9 ნოემბრისათვის დანიშნულია ტფილისის **ვაჭართა საზოგადოების** კრება, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა აირჩიოს საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს წევრნი.

19 ოქტომბერს ქ. კავკავში **გარდაიცვალა** გაზ. „კავკაზ“-ის რედაქტორად ნამყოფი კ. ნ. ბეგიჩევი.

◆ **ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის** დირექტორი ა. ი. სტოიანოვი, თავისისავე სურვილით, დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან.

◆ გუბერნატორის განკარგულებით, საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი მაჰავარიანი კახეთის ზოგიერთ ადგილებსა და ბორჩალოს მაზრაში მიდის **სასოფლო სამკურნალოების** დასათვალიერებლად.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზე, სხვათა შორის, ასახელებენ წევრად ნამყოფის **ა. ა. ივანენკოსაც.**

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ არსდება ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის ნაწილში მოსამსახურეთა ურთ-ერთ **დამხმარებელი საზოგადოება.** მთავრობამ დაამტკიცა ამ საზოგადოების წესდება.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა წევრად ნამყოფის მ. ს. შესტაკოვის მოხსენება ქალთა **საპროფესიონალო სასწავლებლის** შესახებ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ სასწავლებელში ეტევა მხოლოდ 150 მოსწავლე ქალი, ხოლო მიღებულია 203 მოსწავლეო. არავინ იცის, ვისის განკარგულებით მომხდარა ესა. ამას გარდა 4 კლასს 16—17 წლისანი ასრულებდნენ, ეხლა კი უმრავლესობა 20 წლამდე ძლივს ათავებს სწავლას. ამ ხუთი ექვსი წლის წინად მთავრობას სასწავლებისათვის დაუმტკიცებია ინსტრუქცია, რომელსაც არ ეთანხმება ბოლოს დროს შედგენილი ინსტრუქციაო. გამგეობამ დაადგინა, ეხლავე ილონოს რამე იმ ნაკლულევანებათა თავიდან ასაშორებლად, რომელიც მოხსენებაშია აღნიშნული.

◆ გუშინ, 20 ოქტომბერს, ბათუმისა, ფოთისა, ილიაროვისა და ნოვოპროექტნი ქუჩის მცხოვრებთ **საერთო თხოვნა** შეიტანეს ტფილისის ქალაქის გამგეობაში. სთხოვეს გამგეობას განკარგულება მოახდინოს, რომ იმათი ქუჩებიც მოიკირწლონ რიგიანად.

◆ დღეს, 21 ოქტომბერს, **ახალქალაქს მიემგზავრება** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია, სადაც იგი დაჰყოფს ოთხ დღეს და შემდეგ ახალციხეს წავა.

◆ დღეს, 21 ოქტომბერს, ტფილისის ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისია **დაათვალიერებს** ტფილისის ცხენის რკინის გზის ლიანდაგს.

◆ არსენალის ქუჩის ჩასახვევი, მტკვარზე, ვიღასაც განკარგულებით დაუკეტნიათ, რის გამოც ამ ქუჩაზე მიმოსვლა შეწყვეტილია. ადგილობრივ მცხოვრებთა თხოვნით, პოლიციის მე-8 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას შეატყობინოს, ვისის განკარგულებითა და რა მიზეზით დაიკეტა. თუ არაფერი მიზეზია, ბოქაული სთხოვს გახსნას აღნიშნული ქუჩა.

◆ ტფილისის ქალაქის მიწის მზომელი ლარიონოვი დროებით შესასვენებლად დათხოვნილ იქმნა. რადგან იგი დანიშნულ დროზე სამსახურში არ გამოცხადდა, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სრულიად დაითხოვოს ლარიონოვი სამსახურიდან და იმის თანამდებობის აღსრულება მიანდოს ქალაქის გამგეობის მხატვარს ნ. კაჩაროვსკის.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაავალოს საპროფესიონალო სასწავლებლის დირექტორ ქალს შეადგინოს სია სასწავლებლის ქონება-შეძლებისა.

◆ როგორც ტფილისის სასანიტარო სამკურნალო საბჭოს ანგარიშიდანა სჩანს, ქალაქის სამკურნალოებში სექტემბერს ექიმების დახმარებით უსარგებლნია 4150 კაცს, რომელნიც 10,661 ჯერ მისულან სამკურნალოში. აღნიშნულ თვეში სამკურნალოებიდან წამალი წაუღიათ 13,1.33 რეცეპტით.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში ტფილისის მცხოვრებთ გორევგინ მოვსესიანცს, გოსან-აზინ-ოღლისა და ბახშო კარტაშევს 18 ოქტომბერს გაუტყუებიათ მივარდნილ ქუჩაში სპარსეთის ქვეშევრდომი ჯაფარ-ალი-სადიხ-ოღლი და ჯიბიდან 45 მან. ამოუცლიათ. ბოროტ-განმზრახველნი შეიპყრეს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 17 ოქტომბერს საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დ. ნ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით მოხდა ადგილობრივ სათავად-აზნაურო სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრო კომიტეტის წევრებს გარდა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავ. დ. ო. ნიჟარაძე და სკოლის მასწავლებელნი. სხდომაზე წაკითხულ იქმნა შუამდგომლობა, რომელიც უნდა აღიძრას საერო განათლების მინისტრის წინაშე შესახებ იმისა, რომ ნება დართულ იქმნეს სასწავლებელში მომავალ სამოსწავლო წლიდან გაიხსნას მეხუთე კლასი და შემდეგ ყოველ წლობით მიემატოს თითო კლასი. შუამდგომლობაში აღნიშნულია სასწავლებლის მოკლე ისტორია, თუ როგორის თანდათანობით არსდებოდა ყოველ წელს თითო კლასი და როგორის გულ-მხურვალეობით იწყნარებდა ოლქის მზრუნველი განსვენებული კ. პ. იანოვსკი თავად-აზნაურთა შუამდგომლობას კლასების მომატების შესახებ. აღნიშნულია ისიც, რომ სასწავლებელს თავის არსებობის დროს მთავრობისგან არავითარი შენიშვნა არ მიუღია და, წინააღმდეგ, რევიზიების დროს მთავრობის წარმომადგენელნი სრული კმაყოფილნი დარჩენილან. კრებაზე ზოგიერთი იმ აზრისანი იყვნენ, რომ მოეცადათ თავად-აზნაურთა მომავალ საგანგებო კრებამდის და მაშინ თავად-აზნაურობას, როგორც წოდებას, აღეძრა შუამდგომლობა სასწავლებლის თავის სახელზე გადმოტანისა და უფროს კლასების გახსნის ნებართვის შესახებ. უმეტესობამ კი უმჯობესად სცნო, რომ არ დაგვიანდეს, ეხლა ცალკე აღიძრას შუამდგომლობა, და თუ სამინისტრომ არ შეიწყნარა, მხოლოდ იმ შემთხვევაში აღძრას თავად-აზნაურთა კრებამ შუამდგომლობა მისს იმპერატორებით უდიდებულესობის წინაშეო. კრებამ დაადგინა: გაგზავნილ იქმნას გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავ. დ. ო. ნიჟარაძე პეტერბურგს, რომ წერილობით შუამდგომლობასთან ერთად პირადად იშუამდგომლოს საერო განათლების მინისტრის წინაშე.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მომავალი საგანგებო კრება მოხდება ამ წლის დეკემბრის 10 რიცხვს.

რუსეთის ქრონიკა

◆ იმ სამრეწველო დაწესებულებებში, რომელიც საქარხნო ინსპექციას ექვემდებარება, 1902 წელს ყოფილა 1.691,356 მუშა, ამათგან—1.238,356 მამაკ. (1.127,161 სრული წლოვანი, 9.435 მოზარდი და 20.308 მცირე წლოვანი) და 453,352 დედაკაცი (383,872 სრული წლოვანი, 55,742 მოზარდი და 12,738 მცირე წლოვანი). ზოგიერთ გუბერნიებში, სხვათა შორის, მოსკოვისაში, მდედრობითი სქესის მუშათა რიცხვი თან-და-თან მატულობს, მამრობითი სქესისა-კი კლებულობს.

◆ გაზ. „რუსკოე სლოვო“-ს ცალკე ნომრობით გაყიდვა აუკრძალავთ.

◆ ხერსონის ოლქის სამხედრო სასამართლომ ტუსაღებს ავლაგინსა და კრიჟანოვსკის ხერსონის სატუსაღოს ზედამხედველის მოკვლისა გამო ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

◆ როგორც „კიევკ. გაზ.“ იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაში შეუტანიათ 84,500 მანეთი კიევის პოლიცმეისტრისა და მისის კანცელარიის შესანახავად.

◆ „სევ. კრაი“ ერთს საინტერესო ფაქტს აღნიშნავს ივანოვო-ვოზნესენსკის ცხოვრებიდან: ვერც ერთ ქაღალდის მაღაზიაში ფერად კონვერტებს ვერ იშოვნით სასყიდლად. როგორც ვაჭრები ამბობენ, მაღაზიაში აკრძალული ჰქონიათ ფერად კონვერტების გაყიდვა, რადგან ასეთ კონვერტებში არაფრის დანახვა არ შეიძლებაო.

◆ სამხედრო სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი სამხედრო უწყების ქარხნებსა, ზავოდებსა და სახელოსნოებში საქარხნო ინსპექციის მოწყობისა.

◆ ვორონეჟის სამაზრო საერობო კრებას დაუდგენია, რომ იმ დროსთვის, როდესაც გლეხთა განთავისუფლებიდან 50 წელიწადი შესრულდეს, განახორციელოს მაზრაში საყოველთაო სწავლება.

◆ პოლტავის გუბერნიაში პოლიციას სინაგოგების სტაროსტებისაგან აუღია ხელ-

---

თო... მაგრამ ახლა აღარ უნდათ, რომ ვითომ ექიმს აუჯანყდნენ და თხოულობენ, თავ-საფარიც გააუქმეთო, რადგან ყოველივე სენი და ბიწიერება, თუ-კი რამ მოიძებნებოდა სოფელში, კარგა ხანია მოისპო და ჩვენში სრული მშვიდობა და სათნოება დამყარდაო და სხვ. მრავლ.; სწერდნენ ზოგიერთ ადგილიდან კიდევ, რომ ადგილობრივი მზრუნველი კომეტეტი ვერაფერი ხელწმინდა გამოდგა და მთელის წლის საკმარისი ფული სამ-ოთხ თვეში გაფლანგაო. ამიტომ აღარც კომიტეტი გვინდა და აღარც სხვა ამგვარი განათლების ნიშნებიო... და ვინ იცის, კიდევ რას არა სწერდნენ გაზეთები, მაგრამ, ხომ იცით, მკითხველო, გაზეთებს ყველაფერი არ დაეჯერებათ!.. მეც ამიტომ ერთს თუ ვერწმუნებოდი, მეორეს სულ აღარ ვუჯერებდი; მაგრამ არ იტყვით, რა სასწაული მოხდა? წაკითხულის ნახევარზე მეტი სულ მართალი თურმე იყო და იქვე, იმ სოფელში მომხდარი, თუმცა კორესპონდენციებს სხვა, შორეულ სოფლებიდან იწერებოდნენ სულ უცხონი.

განსხვავება აქ მხოლოდ ის იყო, რომ ცოტა რამ კიდევ უთქმელი იყო, გაურკვეველი, მაგალითად: ექიმსაცა და თვითონ თავ-საფარსაც იმიტომ დაუწყო ხალხმა სამდურავი, რომ დიდი გარდასახადებისაგან წელში გაწყვეტილმა ზედ-მეტი ხარჯის მეორედ გაღება ველარ შესძლო და სულს იქით რომ აღარა ებადა-რა, რასაკვირველია, არსებობისათვის ბრძოლაში ერთზედაცა და მეორეზედაც გული აიცრუა, რომ სხვა, უფრო მოღალადე საგნებს როგორმე გასძღოლოდა. თორემ თავ-საფარი და ექიმი რომ თავისს-თავად კარგი საქმეა, ეს ყველა გლეხმა იცის, რადგან არც ისეთი პირუტყვია, რომ საკუთარი სარგებლობა არ შეეგნოს. საქმის გამგეთ ამიტომ უმთავრეს მიზეზისათვის უნდა მიექციათ ყურადღება, თორემ რომ ეკითხებოდნენ, გინდა თუ არა ექიმი და სამკურნალო თავ-საფარიო, რასაკვირველია, გამწარებულები მხოლოდ უარს მიახლიდნენ. საქმე-კი თურმე სხვა რიგად იყო ცოტა. ამბობდნენ, ვითომ გამგეთ ანგარიშები აჰბნეოდეთ და ხარჯი მეტად გაეწიოთ; მერე ვითომ ხელმეორედ გაეწეროთ გლეხებზე და სხვა.... ახლა, ვგონებ, ცოტათი გასაგებია მიზეზი, თორემ გლეხს რომ ჰკითხოთ, ჰამა-სმა გინდა თუ არაო, ლუკმის უქონველი უთუოდ იმას გეტყვით, არ მინდაო!

კიდევ ერთს სამდურავს სხვას მოვკარით ყური: ვითომ როცა საქმის ადგილობრივ გამოსარკვევად ვინმე მთავრობის წარმომადგენილი მოდის, მხოლოდ გლეხებს იწვევენ ყრილობაზე და ეკითხებიან, ცოტათ თუ ბევრად შეგნებულს წარმომადგენლებს-კი არას ეკითხებიან, რომელთაც მიზეზები საქმის დაცარვისა უთუოდ უკეთ უნდა იცოდნენ; ან-და კანცელარიის ჩვეულებისამებრ რამდენისამე წამით თვითონ დაწესებულებას მიათვალ-მოათვალიერებენ და შორჩა, გათავდა. ეჭვი არ არის, უტყვი კედლები შენობისა საქმის ვითარებას ვერ გააცნობენ...

და კიდევ ბევრს სხვა მიზეზებს ასახელებდნენ, მაგრამ ან ამათ-კი სავსებით ენდობა კაცი, განა?

მიზეზი ბოლოს მაინც ხალხის შეუძლებლობა უნდა იყოს, თორემ განა, ცოტაჯერ უხდია ჩვენს გლეხობას სრულიად უნაყოფოდა და უაზროდ მთელი ათი და ოცი წლები რომელიმე გარდასახადი, რომ წინააღმდეგობა არ გაუწევია და ყოფილა მუდამ გაჩუმებული, წყნარი მორჩილი კანონიერების აჩრდილისაც-კი!...

ამიტომაც უმთავრესი ყურადღება ამ საგანს უნდა ჰქონოდა მიპყრობილი, აქედან უნდა დაწყებულიყო ძიება. მაგრამ მარტო ძიება ვერას გახდება. აი, მაგალითად, დაარსების დროს ზოგიერთები როგორ თურმე ეგებებოდნენ გარდასახადის ძალით გაღებას: „არა, წამალი და ექიმი რაღას მიშველის, თუ-კი ლუკმას გამიწყვეტამთო“? და მართლაც...?!..

განა, ამასვე არა სჩივიან ხოლმე რუსეთში საერობო და ქალაქის მკურნალები, როცა შიმშილისაგანა და სიცივისაგან დაბეჩავებულებს რაიმე ფხვნილსა და მიქსტურას გამოუწერენ ხოლმე და იციან-კი, ავადმყოფს ამ დროს არც ტანთ რამ აცვია და არც თბილი საჭმელი და სუფთა ბინა აქვს?!..

ამიტომაც ძნელია ხოლმე ამ გვარს პირობებში კეთილმა დაწყებულებამ დიდ-ხანს იბოგინოს და ნამდვილი დახმარება ვისმე გაუწიოს, გარდა ორიოდ-სამის დაწინაურებულ ოჯახისა, რომელთაც, ეჭვი არ არის, შენახვა დიდ-ხარჯიან დაწესებულებისა არ შეუძლიანთ.

ერთად-ერთი ხსნა ამიტომაც მხოლოდ მთავრობის დახმარება იქმნებოდა და მუქთი, უხარჯო თავ-საფარი და ექიმი თუ შეაყვარებდნენ გაჭირვებულებს თავსა. სრულიად სამართლიანია ამიტომ თხოვნა აქაურებისა, რომ სახელმწიფო თავ-საფარი ცხინვალისა, რომელსაც საკუთარის შენახვაც სულ ადვილად შეუძლიან, აქეთ იქმნას გადმოტანილი და გაჭირვებული, გაურკვეველი მდგომარეობა საქმისა ამითი როგორმე დასრულდეს.

* * *

ამ თავ-სატეხ საგნის გარდა, სოფელს ბევრი კიდევ სხვა გაჭირვება-აქვს, მაგრამ ყველასი ერთად დასახელება შეუძლებელია და მასთან სამძიმოც. ვიტყვი მხოლოდ-ღა ორიოდე სიტყვას იმის შესახებ, თუ ადგილობრივ მცხოვრებთა და საზაფხულოდ მოსულთ ამ წელს რა გონივრული თავგართობა ჰქონდათ.

მეჯ—ვი, შედარებით სხვა სოფლებთან, ბევრად წინ უნდა იყოს წასული, რადგან ყოველ-დღე დილიჯანი მიდი-მოდის გორს და იქიდგან გაზეთები თუ სხვა რამ კორესპონდენციები იმ დღესვე ამოაქვს საღამოს 5—6 საათზე; მაშასადამე, მკითხველს საშუალება ეძლევა ქვეყნის ამბავი, ავი და კარგი, იმ დღესვე შეიტყოს და არა ორისამისა და ხუთის დღის შემდეგ, როგორც ეს, სამწუხაროდ, ჩვენს პატარა ქალაქებსაც-კი სჩვევია, არამც თუ დიდს სოფლებს. მაგრამ... სამწუხაროდ, სოფელს, როგორც კრებულს, თითქმის არა აფიქრებს-რა ამგვარი და თუ-კი ოდესმე საკმაოდ კეთილ-მოწყობილი სამკითხველო და წიგნთ-საცავი ჰქონდა, ახლა ნაჩრდილიც-კი ლამის არის მთლად გაჰქრეს მისი, ისე ამოურეცხიათ გულიდან... რათა და რისთვის, ძნელია გაგება? ნუ-თუ იმიტომ, რომ გულშემატკივარნი აღარა სჩანან; ან იქნება სხვა რამ უკეთესი გონივრული თავგასართობი გაიჩინეს და ამიტომ?.. მართალია პეტრე, პავლე, ქრისტესია, წინათ რომ თაოსნობდნენ და ახალისებდნენ ხალხს, ახლა აქ აღარ არიან, მაგრამ სამაგიერონი ხომ გაუჩნდნენ? წინ უნდა მიდიოდნენ და არა უკან იხევდნენ. სხვა არა იყოს-რა, ის მაინც გაიხსენონ, რომ შვილი მუდამ მამას უნდა სჯობდეს, თუ წინსვლის სურვილი მართლა გვაქვს და მარტო-ოდენ უქმ-სიტყვაობას არა ვკმარობთ... მაგრამ... სამწუხაროდ და დიდად სამწუხაროდ, მხოლოდ ფაქტი გვიდგას თვალ-წინ: რომ აქ საზოგადო მოთავეობა და მზრუნველობა გაუქმებულა და ყველა მხოლოდ და მხოლოდ რაღაცას თავისთვის ჩიხი-მახობს... ეჭვი არ არის, ამ გარემოებაში საზოგადო სოფლის საქმე სიკეთეს ვერასოდეს ვერ ეღირსება.

მაგრამ რასაც ვამბობ, მაპატიეთ, ბ-ნებო, რადგან მეჯ—ვსაც ეღირსა ამ ზაფხულს გონივრული თავგართობა. ეს გახლდათ, კონცერტი ბ-ნის ფ. ქორიძისა, რომელშიაც მისმა შვილებმა (ქალ-ვაჟმა), ბ-ნმა ჩუბინიშვილებმა და შამირანაშვილმა მიიღეს მონაწილეობა. კონცერტს, სოფლის დაგვარად, არა უჭირდა-რა, მაგრამ გაგვაოცა—მეც და ბევრი სხვაც—იმ გარემოებამ, რომ ქართულს სოფელში ქართველებმა გამართეს კონცერტი, კონცერტს მხოლოდ ქართველებივე დაესწრნენ: თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და გლეხობა და პროგრამაში კი ქართული არა იყო-რა; ჩვენს ყურს არავინ რა ასმინა ქართული, გარდა პაწია ჩუბინიშვილისა, რომელმაც თავისის ბავშვურის გაბედულობით ყველას აჯობა და „სატრფოვ შენ, რომ დაგინახე“ გვიმღერა. რას ნიშნავს ასეთი უკულმართი კულტურტრეგერობა, ვერ გაგვიგია სწორედ, რადგან ადვილად შეიძლებოდა ქართული ხორის მომზადებაცა და ცალკე ნომრებისაც, თუ კი მოისურვებდნენ...

ვუსურვებთ მეჯ—ვს ყოველგვარს განკარგებასა და უპირველესად ყოვლისა გამოფხიზლებასა, მაგრამ უკულმართ კულტურტრეგერებს-კი ღმერთმა აშოროს! ასეთ განმანათლებელად როსტომაშვილიც გვეყოფის.

Alfa

წერილი, რომ სინაგოგებში არავითარ კრებისა და სიტყვის წარმოთქმის ნება არ მისცენ. აგრეთვე მოუთხოვნიათ ხელწერილი სიონისტებისაგან, რომ არ გამართონ კრებები და წრეები, არ შეიძინონ ებრაელების ბანკის აქციები და მონაწილეობა არ მიიღონ სიონისტურ მოძრაობაში.

◆ „ვესტნიკ იუგა“-ს მოჰყავს დამამტკიცებელი ფაქტები იმისა, რომ ალმასის საზოგადოების მაღაროებში (ეკატერინოსლავის ახლოს) მომხდარ კატასტროფის მიზეზი ყოფილან მაღაროების პატრონნი, რომელთაც მაღაროების გასამაგრებლად შესაფერი ზომები არ ჰქონიათ მიღებული.

პრესსა

გადაუწყვეტელი შეიქნა ერთი საჭირბოროტო საკითხი: როგორ მოეწყოს ხალხისთვის იურიდიულ დახმარების საქმე? ხალხი, ნამეტურ სოფლის ხალხი, მეტად იჩაგრება მრავალი აბლაკატებისაგან, რომელნიც უხვად სარგებლობენ სოფლელის უვიცობით, კანონების უცოდინარობით და ყვლეფავენ მას. ამის შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ საქმე დღემდის მოუწყობელია. მართალია, ზოგან ახალგაზდა ნაფიც ვექილებმა და მათ თანაშემწეებმა დააარსეს ბიუროები, სადაც უსასყიდლოთ ან მცირე სასყიდლით იურიდიულ რჩევა-დარიგებას აწვდიან ხალხს, მაგრამ ამგვარ შემწეობამ ვერ დააკმაყოფილა დიდი მოთხოვნილება და ხალხი ისევ უვიც და უსინიდისო აბლაკატების ხელშია. ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდენ გაზეთები და ერთხმად ამბობენ, რომ იურიდიულ შემწეობის საქმის ორგანიზაცია ადგილობრივ თვითმმართველობას უნდა დაეკისროსო. ეს არის ერთად ერთი გზა ხალხის შველისა ამ მხრითაო. ერობამ და ქალაქმა უნდა დააარსოს ბიუროები, სადაც მათ მიერ დაქირავებულნი მცოდნე ადვოკატები თავს იდებენ ხალხის იურიდიულს დახმარებასაო. ამ ღონისძიებასვე ჰქადაგობს სპეციალური გამოცემა „იურისტი“. ჟურნალი აღნიშნავს, რომ წინად ამ საქმის მოწყობა მთავრობას უნდოდაო.

> შინაგან საქმეთა სამინისტროს არხივში მოიძებნება არა ერთი პროექტი გლეხთათვის იურიდიულ დახმარების საქმის მოწყობის შესახებ. უმეტეს შემთხვევაში პროექტების განზრახვა იყო: დაარსება სამაზრო სასამართლოებთან განსაკუთრებულ ვექილთა კანტორისა; ვექილები სახელმწიფო სამსახურის მოხელეებათ უნდა ყოფილიყვნენ, უნდა ჰქონოდათ ჯამაგირები და სასამართლოს განკარგულებით უნდა დაეცვათ ესა თუ ის გლეხი სასამართლოში. ერთ რაიონში სხვას არ უნდა ჰქონოდა ნება გლეხის საქმე ეწარმოებინა. მოხელე-ვექილთ ამასთანავე უფლება ეძლეოდათ თავის შეხედულებით გადაეწყვიტათ—აქვს თუ არა მომჩივან გლეხს საკმაო საბუთი საქმის დაწყებისათვის. ასეთი პროექტები, როგორც ხედავთ, ძირეულად ეწინააღმდეგებიან სასამართლო დებულების პრინციპებს და გამსჭვალული არიან ბიუროკრატიზმის აზრით; ამიტომ მათი განხორციელება აღარ მოხერხდა.

ჟურნალი, როგორცა ვთქვით, სხვა გაზეთების აზრს ეთანხმება და საჭიროდ სთვლის იურიდიულ დახმარების საქმე ადგილობრივ თვითმმართველობას დაეკისროს. ახლა არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოსო, დასკვნის „იურისტი“, რომ

> იურიდიულს დახმარებას სოფლის ხალხს ერობაზე უკეთესად ვერავინ მიაწვდის. ამიტომ ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ უნდა დაკმაყოფილებულ იქნას ერობათა შუამდგომლობა იურიდიულ ბიუროების დაარსების შესახებ. საჭიროა, 1890 წლის საერობო დებულება შევსებულ იქნას ახალის მუხლით, რომლის ძალით ყველა ერობას ნება ენიჭებოდეს იურიდიულ კანტორების მოწყობისა, რაც, სხვათა შორის, სამეურნეო საჭიროებათა განსაკუთრებულმა კომიტეტმაც იცნო საჭიროდა და სასარგებლოდ.

* *

ებრაელთა დევნაში „ნოვ. ვრ.“-მ ყოველ საზღვარს გადააბიჯა. ამ დღეებში დაჰბეჭდა წერილი სათაურით „ებრაელები სასწავლებელში“, რომელშიაც აცხადებს: ებრაელები არ უნდა მივიღოთ სასწავლებლებში თუნდაც ვაკანსიები იყოს და ქრისტიანი ბავშვი აღარ იყოს მისაღებიო. ამ ველურ მოთხოვნას „ნოვ. ვრ.“ ასე ურცხვად ასაბუთებს:

> უაზრობა იქნება სახელმწიფოს მხრით სკოლების კარი გაუღოს იმას, ვინც არავითარ მოვალეობას არ კისრულობს სახელმწიფოს წინაშე და მხოლოდ უფლებებზე ზრუნავს; ვისთვისაც სამშობლო მხოლოდ იქ არის, სადაც ხალხის ყვლეფა შეუძლია. რუსეთმა არ უნდა შეუწყოს ხელი იმათ აღზრდას, ვინც მტერია რუსეთის ერისა და სახელმწიფოსი.

სუვორინის გაზეთის ამ უსირცხვილო ბრალდებამ, რასაკვირველია, წინააღმდეგობა გამოიწვია. სხვათა შორის, კარგი წერილი დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოსტ“-ში. წერილის ავტორი ეკითხება „ნოვ. ვრემია“-ს:

> ნუ-თუ „ნოვ. ვრ.“ არ გრძნობს, რამდენად საზიზღარია მისი ბრალდება და ამასთანავე რამდენად ტყუილია იგი? განა ებრაელები არ იხდიან იმავე გადასახადებს, რომელსაც ქრისტიანები იხდიან, და ისეთივე მოვალეობა არ აწევსთ კისერზე, როგორიც ქრისტიანებს? განა ებრაელები არ ეწევიან მძიმე უღელს ჯარის კაცისას და ომის დროს სხვებთან ერთად არ ღვრიან სისხლს სახელმწიფოს დაცვისათვის? განა ებრაელი ექიმები, ფელდშრები და სტუდენტები ქრისტიანებთან ერთად თავგანწირულად არ უვლიდნენ ხალხს ხოლერისა და შიმშილობის დროს? განა ცოტა მომკვდარა მათგანი ამ სამსახურის გმირულად აღსრულების დროს? განა რუსეთის მეცნიერებას, ლიტერატურას და ხელოვნებას არა ჰყავს ებრაელი წარმომადგენლები, რომელთაც ღირსეული მოღვაწეობა გაუწევიათ და დიდი ღვაწლი მიუძღვისთ რუსის ერის წინაშე?

გვესმის ავტორის გულისწყრომა, გვესმის მისი საბუთები, რომ ებრაელთ არავისთვის არაფერი დაუშავებიათ და ღირსნი არიან სხვებთან გათანასწორებისა უფლების მხრივაც, როგორც თანასწორნი არიან მოვალეობის მხრით; მაგრამ ისიც ვიცით, რომ „ნოვ. ვრ.“-ს საზიზღარის იუდოფობის ალაგმვა ამგვარის წერილებით არ შეიძლება...

თეატრი

ქართული წარმოდგენა. 19 ოქტომბერი, „მურად ფაშა“. ეს პიესა, როგორც ვუწყით, მეტერლინკის „მონნა ვანნა“-დან არის გადმოკეთებული. „მონნა ვანნა“ ფსიხოლოგიური დრამაა. მართალია, შინაარსი იტალიელთა ძველ ცხოვრებიდან არის აღებული, მაგრამ თვით პიესის მოქმედებას ამა თუ იმ ისტორიულ ხანასთან საერთო არა აქვსრა. ამ შემთხვევაში მეტერლინკი შექსპირივით მოიქცა, რომელმაც ფსიხოლოგიურ დრამების გმირებად ისტორიული პირები გამოიყვანა, თუმცა ისტორიასთან იმათ (ზოგიერთს მაინც) საერთო არა აქვთ-რა. „მონნა ვანნას“ გადმომკეთებელს ეს გარემოება გამოჰპარვია, ამიტომ „მურად ფაშას“ ისტორიული ელფერი უფრო ძლიერ დაჰკრავს, ვიდრე ფსიხოლოგიური. ისტორიულ პიესისთვის მეტი მოქმედება, მოძრაობა და საქმეა საჭირო, ვიდრე „მურად ფაშა“-შია. ამას გარდა გადმომკეთებელს ბოლო შეუცვლია. მეტერლინკმა პიესის იდეია ბოლო მოქმედებაში გამოსთქვა, სადაც მონნა ვანნა ქმარს თავს ანებებს და პრინცივალესთან მიდის. ასეთ საქციელამდე ახალგაზდა ქალი იმან მიიყვანა, რომ ქმარს არა სჯერა ცოლის უმანკოება. გადმოკეთებულ პიესაში-კი სულ სხვაა: ყველაზე მეტად საინტერესო ადგილას, იმ დროს, როდესაც ქმარსა და მურად ფაშას შორის ცხარე ლაპარაკია ქეთევანის უმანკოებაზე, შემოვარდება ბიჭი და აღელვებულის ხმით აუწყებს შეკრებილთ, რომ მტერი მოადგა ციხესაო. ქეთევანი (ანუ უკედ—ავტორი) პატრიოტულ სიტყვებს ამბობს და ორივეს, ლევანსაც და მურად ფაშასაც, დროშებს აძლევს და სამშობლოს დასაცველად ბრძოლის ველზე ისტუმრებს. რა თქმა უნდა, სამშობლოს დაცვა დიდი საქმეა და ამისთვის პირადის ინტერესების დავიწყება ურიგო არ არის, მაგრამ დრამის გადასაწყვეტად ეს არა კმარა და გადმომკეთებელმა ტყუილად მიჰმართა ამ ხერხს. მაყურებელი გაკვირვებული რჩება: არ იცის, ლევანმა დაიჯერა თუ არა ცოლის სიტყვები. არც ის იცის, ომის გათავების შემდეგ, თუ ცოცხლები გადარჩებიან, როგორ მოეწყობიან მურად-ფაშა, ლევან და ქეთევან.

ქეთევანის როლს ასრულებდა ქ-ნი ჩხეიძე. მეტად უმადური როლია ეს როლი. ავტორმა ქეთევანს იმდენი სული და გული ვერ ჩაჰბერა, რომ ამსრულებელს შეეძლოს თამაშობა და არა მარტო ლაპარაკი. უფრო მადლიერია მურად-ფაშას როლი. ამ კაცის სულიერი ვითარება პიესაში სხვებზე უფრო გამორკვეულია. ამის ◌ მიუხედავად ამ როლის ამსრულებელმა ბ-ნმა გუნიამ სავსებით ვერ დაგვაკმაყოფილა. გუნიას მურად-ფაშის ლაპარაკსა ◌ ქცევას გადაჭარბებული სინაზე ეტყობოდა, ხოლო იმისი სიყვარული თანამედროვე სანტიმენტალურ რომანს ჰგავდა. მართალია, მურად-ფაშა გაგიჟებულია ქეთევანისათვის, იმის სიყვარულს საზღვარი არა აქვს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ იგი თითქმის ველურია, მამაცი მებრძოლი და ასეთი კაცი-კი, ვფიქრობთ, სიყვარულშიაც მედგარი და გაუტეხავი უნდა იყოს. მესამე თვალ-საჩინო მომქმედი პირი პიესაში ლევან მურვანიშვილია. ამასაც მოქმედების ნაცვლად უფრო მეტი ხელის შლა, ტირილი და ყვირილი უხდება. ბ-ნმა სვიმონიძემ, რამდენადაც შეიძლებოდა, რიგიანად ჩაატარა ეს როლი. მოხუც ბერის როლს ბ-ნი ივანიძე ასრულებდა. ამ ახალგაზდა მსახიობს აშკარად ეტყობა სასცენო ნიჭი და უნარი, მაგრამ ისეთი მადლიანი კაცი არ აღმოჩნდა, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს, ასწავლოს და ფრთა გააშლევინოს იმის ნიჭს. ბ-ნ ივანიძეს მშვენიერი ხმა აქვს, მკაფიო გამოთქმა, სასცენო ტანადობა, მაგრამ ვერც ერთი შესაფერად ვერ მოუხმარნია. ბერის როლი ივანიძემ ძალიან ერთ-ფეროვანად ჩაატარა. ვიმეორებთ, ამ მსახიობს ყურადღება უნდა მიექცეს. დანარჩენი მოთამაშენი, შათირიშვილის გარდა, სუსტობდნენ. უხეიროდ თამაშობდნენ ავალიშვილისა და ჯავახიშვილის როლების ამსრულებელნი. არც ლაპარაკი ეხერხებოდათ ამათ, არც დგომა და არც სიარული. ურიგო არ იქნება, მეტი ყურადღება მიექცეს იმ სცენებს, სადაც სტატისტები არიან. უკანასკნელ მოქმედებაში ეს „დიდებულნი“ აივანზე იდგნენ და თვალებს პარტერს აჰყეტდნენ. როდესაც ნაბადში შეხვეულმა მურადმა, მტრის ჯარის წინამძღოლმა, სთქვა, მურად-ფაშა ვარო, იმათ აინუნშიაც არ ჩააგდეს ეს...

„მურად-ფაშას“ შემდეგ წარმოადგინეს ძველი, მაგრამ მხიარული კომედია, გ. ერისთავისა—„თილისმით მოარშიყე“. თითქმის ყველანი კარგად თამაშობდნენ და ბევრიც აცინეს საზოგადოება. საუცხოვოდ შეასრულეს თავიანთი პატარა როლები ქ-ნმა ჩერქეზიშვილმა და ბ-ნმა ყიფიანმა.

ქუთაისი. 21 ოქტომბერს ქუთაისში მოდიან ფიგნერის საოპერო დასს, რომელიც მხოლოდ ორ წარმოდგენას გაჰმართავს.

18 ოქტომბერს მალოროსიულმა დასმა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის ღარიბ-მოსწავლეთა სასარგებლოდ წარმოდგენა გამართა. ხალხი ნაკლებ დაესწრო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ოქტომბერი

პეტერბურგი. 19 ოქტომბერს, საბერძნეთის მეფე საზღვარ-გარედ გაემგზავრა.

19 ოქტომბერს საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის სხდომამ პუშკინის სახელობის ნახევარი პრემიით დააჯილდოვა პ. ი. ვეინბერგი და ბუნინი. საპატიო მოწმობით-კი—7 მწერალი.

კოროჩა. 19 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ცისკიდურზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრივ ცეცხლის ორი სვეტი გამოჩნდა და მერმე ერთ მნათობად შეერთდა. ეს უცნაური მოვლენა 20 წუთს გაგრძელდა.

დარმშტადტი. მოვიდა გრაფი ლამსდორფი.

პარიზი. შუადღის შემდეგ მთელს საფრანგეთში უეცრად შესწყდა ტელეგრაფის მუშაობა მთელ ევროპას და ამერიკასთან. რაც ტელეგრაფი არსებობს, ასეთი შემთხვევა პირველია. ამ მოვლენას მიწის ნიადაგის გამოუკვლეველ მო-[illegible]თა და ატმოსფერულ მოვლენით ხსნიან. მზის ჩასვლის დროს ტელეგრაფი ისევ უეცრად ამუშავდა. ტელეგრაფის მმართველობა ამ მოვლენას დედა მიწის მაგნიტიზმით ხსნის.

სოფია. ყოველ მხრიდან საჩივარი მოდის ჰოლიციისა და მოხელეების ძალმომრეობის შესახებ.

ასხაბადი. ანდიჯანში ძლიერი მიწის ძვრა იყო.

პარიზი. გაზეთები ამტკიცებენ, რომ 10 ნოემბერს ლუბე რომში გაემგზავრებაო.—ლამსდორფი ისევ დარმშტადტს წავიდა.

ვენა. იმპერატორმა ფრანც-იოსებმა ტისის მიერ წარდგენილი ჰუნგრეთის ახალი კაბინეტის წევრების სია მოიწონა.

სოფია. რევოლიუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელი წრეები ირწმუნებიან, რომ რაზმთა მოძრაობა ზამთარშიაც არ შესწყდება მანამდის, სანამ პორტა რეფორმების განსახორციელებლად ზომებს არ მიიღებსო.

ხვალ ბოლგარიაში 189 დეპუტატის არჩევნები გაიმართება. ოპოზიციის კანდიდატების ბეჯით მოთხოვნილებით მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა გაჰგზავნოს ჯარი ყოველგან, სადაც-კი საჭირო იქნება.

ლონდონი. 18 ოქტომბერს ამერიკის რწმუნებულმა ჩინეთიდან შეერთებულ შტატების კუთვნილი სამხედრო საზღაურის მესამედი ნაწილი მიიღო; წინად მიღებულთან ერთად გადახდილი საზღაური შეადგენს 75% მთელი საზღაურისას. დანარჩენ 25% დეკემბერში მიიღებენ. ინგლისს კი მიღებული აქვს მარტო 50%.

შარლოტენბურგი. მომსენი გარდაიცვალა.

კონსტანტინეპოლი. სულთნის ირადეში ნაბრძანებია, დაითხოვონ მაკედონიაში 96 ბატალიონი ილავებისა.

რომი. ჩრდილოეთ იტალიიდან ცნობები მოდის, დიდი წვიმებისა გამო მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდა და ყანები წალეკა. სამხრეთ-იტალიიდანაც ცნობები მოდის წყალ-დიდობის შესახებ.

მინსკი. სამინისტრომ შეიწყნარა შუამდგომლობა გროდნოში სასულიერო რაბინების კრების გამართვის შესახებ. კრებაზე გადასაწყვეტია ბევრი პრინციპიალური საკითხი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

პ. ი. ავსარქისოვის
ბაღში
იყიდება ხეხილები როგორც საზღვარ-გარეთისა, ისე აქაურ ჯიშისა. ფასები შემდეგია: ერთის წლის ხე—20 კაპ., ასი ცალი—15 მანეთი; ორი წლის ხე—35 კაპ., ასი ცალი—25 მან. ადრესი: უბრალო წერილებისთვის—სადგური სკრა ამიერ-კავკასიის რკინის გზა; ფულისა და დაზღვეულ წერილებისთვის—გორი, პ. ი. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უსასყიდლოთ გაეგზავნებათ. (10—143—6)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.



რადგან ვაჭრობასა ვსპობ,
ვყიდი იაფად ქალთა და სხვა ყოველგვარ
უნაგირებს,
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს.
(წ.—182—1)

ბათუმში
ექიმი-ქალი ფავიცკაია
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე. მარიინსკის ქუჩა, ს. ანანიევისა, სახელმწ. ბანკის განყოფილების პირდაპირ.
(4—1741—4)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქართველ-ქალთა საზოგადოების
სამკერვალოში
პირველ ოქტომბრიდან დაიწყო **საღამოს კურსები ჭრა-კერვისა** ინტელიგენტ ქართველ-ქალთათვის.
ვერა, მოსკოვის ქუჩა № 6

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

Дозв ценз. Тифлисъ 20 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат.—Тва).